

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
მდგომარეობის ანგარიშგება;  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

2020

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება განათლების განვითარების ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
 მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                                                                     |                              |
|-------------------------------------------------------------------------------------|------------------------------|
| სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....               | 2                            |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....         | 3                            |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით..... | 4                            |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები .....                          | 5                            |
| 1. ძირითადი საქმიანობა.....                                                         | 5                            |
| 2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....                                | 6                            |
| 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა .....                                     | 6                            |
| 3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები.....                                                | 6                            |
| 3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი.....                                                    | 6                            |
| 3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....                                     | 6                            |
| 3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება .....                              | 6                            |
| 3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....                                                | 7                            |
| 3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები .....                                           | 7                            |
| 3.7. ძირითადი საშუალებები .....                                                     | 7                            |
| 3.8. არამატერიალური აქტივი .....                                                    | 8                            |
| 3.9. მოგების გადასახადი.....                                                        | 8                            |
| 3.10. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები .....                             | 8                            |
| 3.11. საწესდებო კაპიტალი .....                                                      | 8                            |
| 3.12. დივიდენდები.....                                                              | 8                            |
| 3.13. შემოსავალი.....                                                               | 9                            |
| 3.14. ხარჯები .....                                                                 | 9                            |
| შენიშვნა 4: ამონაგები.....                                                          | 10                           |
| შენიშვნა 5: რეალიზაციის თვითღირებულება.....                                         | 10                           |
| შენიშვნა 6: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები .....                                 | 11                           |
| შენიშვნა 8: სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა.....                                | 12                           |
| შენიშვნა 9: ფინანსური ხარჯი .....                                                   | 12                           |
| შენიშვნა 10: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები .....                  | 13                           |
| შენიშვნა 11: ფული და ფულის ექვივალენტები .....                                      | Error! Bookmark not defined. |
| შენიშვნა 12: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....                           | 16                           |
| შენიშვნა 13: მარაგი.....                                                            | 17                           |
| შენიშვნა 15: საგადასახადო ვალდებულებები .....                                       | 17                           |
| 16. რისკების მართვა .....                                                           | 17                           |
| 16.1. ლიკვიდურობის რისკი .....                                                      | 17                           |
| 16.2. სავალუტო რისკი.....                                                           | 17                           |
| 17. საწარმოს უწყვეტობის განხილვა.....                                               | 17                           |
| 18. ბალანსის შემდგომი მოვლენები.....                                                | 19                           |

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
 მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

**სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

|                                     | შენიშვნები | 2020 წელი<br>ლარი | 2019 წელი<br>ლარი |
|-------------------------------------|------------|-------------------|-------------------|
| ამონაგები                           | 4          | 6,523,002         | 5,922,547         |
| რეალიზაციის თვითღირებულება          | 5          | (257,687)         | (214,936)         |
| <b>საერთო მოგება</b>                |            | <b>6,265,315</b>  | <b>5,707,611</b>  |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები   | 6          | (5,692,819)       | (5,690,971)       |
| მიწოდების და მომსახურების ხარჯები   |            | -                 | -                 |
| სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა | 8          | -                 | -                 |
| <b>საოპერაციო მოგება</b>            |            | <b>572,496</b>    | <b>16,640</b>     |
| ფინანსური შემოსავალი                | 9          | 106,708           | 65,500            |
| ფინანსური ხარჯი                     |            | (29,035)          | -                 |
| ფინანსური ხარჯი - წმინდა            |            | -                 | -                 |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>           |            | <b>650,169</b>    | <b>82,140</b>     |
| მოგების გადასახადი                  |            | -                 | (543)             |
| <b>წმინდა მოგება</b>                |            | <b>650,169</b>    | <b>81,597</b>     |
| <b>სხვა სრული შემოსავალი:</b>       |            |                   |                   |
| შემოსულობა მიწისა და შენობების      |            |                   |                   |
| გადაფასებიდან,                      |            |                   |                   |
| გადასახადების გამოკლებით            |            | -                 | -                 |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>     |            | <b>650,169</b>    | <b>81,597</b>     |



დირექტორი  
 გიორგი მელაძე  
 თბილისი, საქართველო

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
 მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

|                                                        | შენიშვნები | 2020 წელი<br>ლარი | 2019 წელი<br>ლარი |
|--------------------------------------------------------|------------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                                        |            |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                           |            |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                                   | 10         | 17,258,014        | 3,649,988         |
| ბიოლოგიური აქტივები                                    |            | 7,074             | 7,074             |
| არამატერიალური აქტივები                                |            | 6,314             | 7,481             |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ<br>ინსტრუმენტებში |            | -                 | -                 |
|                                                        |            | <b>17,271,402</b> | <b>3,664,543</b>  |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                           |            |                   |                   |
| ფული და ფულის ექვივალენტები                            | 11         | 577,813           | 2,185,633         |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები                | 12         | 1,611,342         | 417,991           |
| მისაღები დივიდენდები და პროცენტები                     |            | -                 | 6,794             |
| მარაგები                                               | 13         | 90,599            | 54,465            |
|                                                        |            | <b>2,279,754</b>  | <b>2,664,882</b>  |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                                |            | <b>19,551,156</b> | <b>6,329,425</b>  |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                                |            |                   |                   |
| საკუთარი კაპიტალი                                      |            | 8,945,067         | 3,112,296         |
| გადაფასების რეზერვი                                    |            | -                 | -                 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)              |            | 3,255,340         | 2,605,172         |
| სხვა რეზერვები                                         |            | 4,400             | 4,400             |
|                                                        |            | <b>12,204,807</b> | <b>5,721,868</b>  |
| <b>ვალდებულებები</b>                                   |            |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                      |            |                   |                   |
| გრძელვადიანი სესხები                                   | 17         | 4,859,844         | -                 |
| გრძელვადიანი ფინანსურ იჯარა                            |            | -                 | -                 |
| ანარიცხები                                             |            | -                 | -                 |
| გადავადებული შემოსავალი                                |            | -                 | -                 |
|                                                        |            | <b>4,859,844</b>  | <b>-</b>          |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                      |            |                   |                   |
| მოკლევადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი                 |            | 145,670           | 145,670           |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები             |            | 393,230           | 447,931           |
| სხვა ვალდებულებები                                     | 16         | 1,947,605         | 13,956            |
|                                                        |            | <b>2,486,505</b>  | <b>607,557</b>    |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>                           |            | <b>7,346,349</b>  | <b>607,557</b>    |
| <b>მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები</b>               |            | <b>19,551,156</b> | <b>6,329,425</b>  |



დირექტორი  
 გიორგი მელაძე  
 თბილისი, საქართველო

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
 მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის  
 მდგომარეობით

|                                | შენიშვნები | საწესდებო<br>კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | ჯამი       |
|--------------------------------|------------|-----------------------|------------------------|-------------------------|------------|
| 2019 წლის 1 იანვარი            |            | 1,073,026             | 4,400                  | 2,523,575               | 3,601,001  |
| წმინდა მოგება                  |            |                       |                        | 81,597                  | 81,597     |
| სხვა სრული შემოსავალი          |            |                       |                        |                         | -          |
| კაპიტალის ზრდა/კლება           | 17         |                       |                        |                         | -          |
| გადაფასების რეზერვი            |            |                       |                        |                         | -          |
| გაცემული დივიდენდი             |            |                       |                        |                         | -          |
| წინა პერიოდის<br>კორექტირებები |            |                       |                        | 2,039,270               | 2,039,270  |
| 2019 წლის 31 დეკემბერი         |            | 3,601,001             | -                      | 2,616,084               | 5,721,868  |
| წმინდა მოგება                  |            |                       |                        | 650,169                 | 650,169    |
| სხვა სრული შემოსავალი          |            |                       |                        |                         | -          |
| კაპიტალის ზრდა/კლება           |            | 5,832,770             |                        |                         | 5,832,770  |
| გადაფასების რეზერვი            |            |                       | -                      | -                       | -          |
| გაცემული დივიდენდი             |            |                       |                        |                         | -          |
| წინა პერიოდის<br>კორექტირებები |            |                       |                        |                         | -          |
| 2020 წლის 31 დეკემბერი         |            | 11,554,638            | -                      | 650,169                 | 12,204,807 |

  
 დირექტორი  
 გიორგი მელაძე  
 თბილისი, საქართველო

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
 მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

## ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. ძირითადი საქმიანობა

შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ დაფუძნდა 2012 წლის 10 აპრილს, მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი - 404940695 და საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. ჯგუფი შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

ჯგუფის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა ფშაველას გამზირი №40.

შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ შემდეგი საწარმოს მშობელი კომპანიაა (ერთად მოხსენიებული „ჯგუფად“), რომელიც შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში: შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“ დაფუძნებული 1996 წლის 20 მაისს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით და რომლის იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №40. საიდენტიფიკაციო კოდი: 216313727. 2013 წლის 28 ივნისს კომპანიის 100% წილის მფლობელი გახდა შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ -ს მფლობელები არიან:

| მფლობელი           |                                  | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|--------------------|----------------------------------|------------------------|
| გიორგი მელაძე      | საქართველოს მოქალაქე             | 25,00%                 |
| სს ფანდ ინვესტმენტ | საქართველოში დარეგისტრირებული სს | 75,00%                 |

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ფანდ ინვესტმენტ“-ის აქციონერები არიან:

| აქციონერი    |             | 2020 წლის 31 დეკემბერი |
|--------------|-------------|------------------------|
| ზაიქი მი     | 01192005128 | 50,00%                 |
| ქსინფუ ვანგი | 01092004184 | 50,00%                 |

**ჯგუფის ძირითადი საქმიანობა:** შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“ არის მეოთხე კატეგორიის საწარმო, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს განათლების სფეროს პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმით მხარდაჭერა და განათლებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სახის საქმიანობის განხორციელება. შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“ -ს ძირითადი საქმიანობა არის - საგანმანათლებლო, გააჩნია სწავლების სამივე - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური, აგრეთვე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა - ფრესქული. შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“-ს აქვს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული - სტანდარტული პროგრამა, ასევე საერთაშორისო ბაკალავრიატის ავტორიზირებული პროგრამა (IB), რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამ პროგრამას: დაწყებით (PYP), საბაზო (MYP) და სადიპლომო პროგრამას (DP).

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
მდგომარეობის ანგარიშგება;  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

---

## 2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში(ლ), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

## 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

### 3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

### 3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

|                   | 31 დეკემბერი<br>2020 | 31 დეკემბერი<br>2019 |
|-------------------|----------------------|----------------------|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 3.2766               | 2.8677               |
| ლარი/1 ევრო       | 4.0233               | 3.2095               |

### 3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
მდგომარეობის ანგარიშგება;  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

---

### 3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლეს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

### 3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

### 3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

### 3.7. ძირითადი საშუალებები

საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად ან მისაწოდებლად გამოყენებისათვის ან ადმინისტრაციული მიზნით ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურება

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა. გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
 მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                             | სასარგებლო<br>გამოყენების ვადა<br>წლებში: |
|-----------------------------|-------------------------------------------|
| შენობები                    | 20-50 წელი                                |
| მანქანა-დანადგარები         | 2-10 წელი                                 |
| ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა | 2-10 წელი                                 |
| სატრანსპორტო საშუალებები    | 5-10 წელი                                 |
| სხვა                        | 2-10 წელი                                 |

### 3.8. არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

- ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და
- ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

### 3.9. მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება.

### 3.10. სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

### 3.11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
მდგომარეობის ანგარიშგება;  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

---

### **3.12. დივიდენდები**

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

### **3.13. შემოსავალი**

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

### **3.14. ხარჯები**

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
 მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 4: ამონაგები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ამონაგები მოიცავდა:

| ამონაგები                 | 2020<br>ლარი     | 2019<br>ლარი     |
|---------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი მომსახურებიდან | 6,241,527        | 5,686,431        |
| საქონლის გაყიდვიდან       | 277,415          | 236,116          |
| სხვა                      | 4,060            | -                |
| <b>სულ</b>                | <b>6,523,002</b> | <b>5,922,547</b> |

შენიშვნა 5: რეალიზაციის თვითღირებულება

2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის რეალიზაციის  
 თვითღირებულება მოიცავდა:

| რეალიზაციის თვითღირებულება     | 2020<br>ლარი     | 2019<br>ლარი     |
|--------------------------------|------------------|------------------|
| ძირითადი მასალების დანახარჯები | (257,687)        | (214,936)        |
| <b>სულ</b>                     | <b>(257,687)</b> | <b>(214,936)</b> |

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
 მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 6: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ზოგადი და  
 ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | 2020<br>ლარი       | 2019<br>ლარი       |
|-----------------------------------|--------------------|--------------------|
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | (1,018,640)        | (5,690,971)        |
| დასაქმებულთა ანაზღაურება          | (3,542,145)        | -                  |
| საიჯარო ქირა                      | (1,089,801)        | -                  |
| ცვეთა და ამორტიზაცია              | (85,713)           | -                  |
| კომუნალური ხარჯი                  | -                  | -                  |
| კომუნიკაციის ხარჯები              | -                  | -                  |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერა    | -                  | -                  |
| საპენსიო ფონდის ხარჯი             | -                  | -                  |
| საკონსულტაციო ხარჯი               | -                  | -                  |
| სხვა საგადასახადო ხარჯი           | -                  | -                  |
| ბანკის საკომისიო ხარჯი            | -                  | -                  |
| საწვავის ხარჯი                    | -                  | -                  |
| სხვა                              | -                  | -                  |
| <b>სულ</b>                        | <b>(5,692,819)</b> | <b>(5,690,971)</b> |

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
 მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 8: სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სხვა  
 შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა მოიცავდა:

| სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა | 2020<br>ლარი    | 2019<br>ლარი |
|-------------------------------------|-----------------|--------------|
| მოგება კურსთაშორის სხვაობიდან       | -               | -            |
| ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან       | (29,035)        | -            |
| სხვა                                | -               | -            |
| <b>სულ</b>                          | <b>(29,035)</b> | <b>-</b>     |

შენიშვნა 9: ფინანსური ხარჯი

2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მიწოდების და  
 მომსახურების ხარჯები მოიცავდა:

| ფინანსური ხარჯი - წმინდა | 2020<br>ლარი    | 2019<br>ლარი |
|--------------------------|-----------------|--------------|
| საპროცენტო შემოსავლები   | 100,680         | -            |
| საპროცენტო ხარჯები       | (57,200)        | -            |
| <b>სულ</b>               | <b>(43,480)</b> | <b>-</b>     |

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 10: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისთვის კომპანიის ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები მოიცავდა:

| თვითღირებულება    | მიწა    | ლაუმთავრებული<br>მშენებლობა | შენობები   | ნაგებობა | ინვენტარი | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავტო და<br>სხვა<br>ინვენტარი | იჯარით<br>აღებული<br>ქონება | სულ        |
|-------------------|---------|-----------------------------|------------|----------|-----------|-----------------------|------------------------------|-----------------------------|------------|
| 1 იანვარი 2020    | 500,000 | -                           | 12,219,471 | 8,034    | 203,647   | 3,771,351             | 925,169                      | 113,719                     | 17,741,391 |
| შემოსვლა          | 500,000 | -                           | 12,219,471 | 7,074    | 10,506    | 3,166,479             | 797,414                      | 11,046                      | 16,711,989 |
| გადაფასება        | -       | -                           | -          | -        | -         | -                     | -                            | -                           | -          |
| გასვლა            | -       | -                           | -          | -        | -         | -                     | -                            | -                           | -          |
| 31 დეკემბერი 2020 | 500,000 | -                           | 12,219,471 | 8,034    | 203,647   | 3,771,351             | 925,169                      | 113,719                     | 17,741,391 |

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

| მიწა                                   | ლაუშთავრებული<br>მშენებლობა | შენიშვნები | ნაგებობა          | ინვენტარი      | ოფისის<br>ალქურილობა | ავჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | იჯარით<br>აღებული<br>ქონება | სულ               |
|----------------------------------------|-----------------------------|------------|-------------------|----------------|----------------------|------------------------------|-----------------------------|-------------------|
| <b>ცვთა და გაუფასურება</b>             |                             |            |                   |                |                      |                              |                             |                   |
| <b>1 იანვარი 2020</b>                  | -                           | -          | -                 | <b>83,905</b>  | <b>196,136</b>       | <b>83,397</b>                | <b>28,320</b>               | <b>391,758</b>    |
| პერიოდის ცვთა                          | -                           | -          | -                 | 8,083          | 66,922               | 4,687                        | 4,854                       | 84,546            |
| გასვლა                                 | -                           | -          | -                 | -              | -                    | -                            | -                           | -                 |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>               | -                           | -          | -                 | <b>91,988</b>  | <b>263,058</b>       | <b>88,084</b>                | <b>33,174</b>               | <b>476,304</b>    |
| <b>წმინდა საბალანსო<br/>ღირებულება</b> |                             |            |                   |                |                      |                              |                             |                   |
| <b>1 იანვარი 2020</b>                  | -                           | -          | -                 | <b>109,236</b> | <b>408,737</b>       | <b>44,359</b>                | <b>74,353</b>               | <b>637,644</b>    |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>               | <b>500,000</b>              | <b>-</b>   | <b>12,219,471</b> | <b>111,659</b> | <b>3,508,293</b>     | <b>837,085</b>               | <b>80,545</b>               | <b>17,265,087</b> |

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
 მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                          | ლიცენზიები       | სხვა<br>არამატერიალური<br>აქტივები | სულ              |
|--------------------------|------------------|------------------------------------|------------------|
| <b>თვითღირებულება</b>    |                  |                                    |                  |
| <b>1 იანვარი 2020</b>    | <b>15,627.83</b> | <b>3,211.97</b>                    | <b>18,839.80</b> |
| შემოსვლა                 | -                | -                                  | -                |
| გადაფასება               | -                | -                                  | -                |
| გასვლა                   | -                | -                                  | -                |
| <b>31 დეკემბერი 2020</b> | <b>15,627.83</b> | <b>3,211.97</b>                    | <b>18,839.80</b> |

|                             | ლიცენზიები       | სხვა<br>არამატერიალური<br>აქტივები | სულ              |
|-----------------------------|------------------|------------------------------------|------------------|
| <b>ცვეთა და გაუფასურება</b> |                  |                                    |                  |
| <b>1 იანვარი 2020</b>       | <b>9,398.00</b>  | <b>1,960.53</b>                    | <b>11,358.53</b> |
| პერიოდის ცვეთა              | 1,000.00         | 166.82                             | 1,166.82         |
| გასვლა                      | -                | -                                  | -                |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>    | <b>10,398.00</b> | <b>2,127.35</b>                    | <b>12,525.35</b> |

|                                    |                 |                 |                 |
|------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b> |                 |                 |                 |
| <b>1 იანვარი 2020</b>              | <b>6,229.83</b> | <b>1,251.44</b> | <b>7,481.27</b> |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>           | <b>5,229.83</b> | <b>1,084.62</b> | <b>6,314.45</b> |

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
 მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 12: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სავაჭრო და სხვა  
 მოკლევადიანი მოთხოვნები მოიცავდა:

| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები  | 2020<br>ლარი     | 2019<br>ლარი   |
|------------------------------------------|------------------|----------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 1,147,186        | 154,032        |
| მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ     | -                | -              |
| გაცემული სესხის მიმდინარე ნაწილი         | -                | -              |
| <b>სულ</b>                               | <b>1,147,186</b> | <b>154,032</b> |

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
მდგომარეობის ანგარიშგება;  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 13: მარაგი

2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მარაგი მოიცავდა:

| მარაგი     | 2020<br>ლარი  | 2019<br>ლარი  |
|------------|---------------|---------------|
| წიგნები    | 74,332        | 54,465        |
| საქონელი   | 740           | -             |
| სხვა       | 15,528        | -             |
| <b>სულ</b> | <b>90,599</b> | <b>54,465</b> |

შენიშვნა 16: სესხები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავდა:

| სესხები                                                               | 2020<br>ლარი     | 2019<br>ლარი |
|-----------------------------------------------------------------------|------------------|--------------|
| 1300k Loan 7.04% გაცემის/დაფარვის თარიღი: 09/2020-09/2026 ვალუტა: EUR | 4,306,151        | -            |
| <b>სულ</b>                                                            | <b>4,306,151</b> | <b>-</b>     |

|                    | გადასახდელები    |          | პროცენტი       |          | ძირი             |          |
|--------------------|------------------|----------|----------------|----------|------------------|----------|
|                    | 2020             | 2019     | 2020           | 2019     | 2020             | 2019     |
| 1 წელზე<br>ნაკლები | 1,032,227        | -        | 259,883        | -        | 772,343          | -        |
| 1-დან 5 წლამდე     | 4,232,397        | -        | 700,887        | -        | 3,531,510        | -        |
| 5 წელზე მეტი       | 797,454          | -        | 22,813         | -        | 774,641          | -        |
| <b>ჯამი</b>        | <b>6,062,078</b> | <b>-</b> | <b>983,584</b> | <b>-</b> | <b>5,078,494</b> | <b>-</b> |

შენიშვნა 17: დაკავშირებული მხარეები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის დაკავშირებული მხარეების ოპერაციები მოიცავდა:

შენიშვნა 16: წარმოდგენილი სესხები წარმოადგენს სოლიდარულ ვალდებულებას ბანკის მიმართ სესხები გადაეცა მშობელ კომპანიას ხოლო მოხმარდა შვილის ოპერაციებს

მპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
მდგომარეობის ანგარიშგება;  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

---

## 18. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

### 18.1. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

### 18.2. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. 2020 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის მარაგების არსებითი ნაწილი შეძენილია უცხოურ ვალუტაში და პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებების არსებითი ნაწილი მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ ვალდებულებებს.

მენეჯმენტის პოზიციით სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 19. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს

შპს განათლების განვითარების ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური  
მდგომარეობის ანგარიშგება;  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

---

უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის  
ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და  
დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც  
თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

#### 20. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ  
ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.